## ხელშეკრულება №23

ხელშეკრულების დადების ადგილი: ქ. ბათუმი

ხელშეკრულების დადების თარიღი: 19აგვისტო 2013წ.

### სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**„შემსყიდველი"** სსიპ ღლვანის საჯარო სკოლის დირექტორის/მ მანანა ტარიელაძის სახით:
მისამართი: შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ღლვანი.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება ლიბერთი ბანკის შუახევის ფილიალი. ბანკის კოდი 220101445.
სკოლის ანგარიშის ნომერი: GE68LB0121110049408000. საიდენტიფიკაციო კოდი:247868240

**„მიმწოდებელი"** ი/მ შალვა ფუტკარაძე მისამართი: ქალაქი ბათუმი . ლეონიძის ქუჩა#13
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს პროკრედიტ ბანკის ბ/ფ;ბანკის კოდიMIBGGE22; მიმწოდებლის ანგარიშის ნომერი:
GE63PC0033600100023883; საიდენტიფიკაციო კოდი 61002002723

ერთი მხრივ- შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა უზრუნველყოს „შემსყიდველი" „შემსყიდველისათვის"—სამეურნეო, სამშენებლო და ელექტრო საქონლის მიწოდება ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 800(რვაას)ლარი.

1.3.შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ერთეულის ფასი, მთლიანი თანხა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ფორმა №3 მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4 ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული შესყიდვების ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება წარმოადგენს საორიენტაციო თანხას.

#### 2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის,რომელსაც ხელს აწერენ სათანადო უფლებამოსილი პირები .

2.3. მიღებული საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

#### 3. გარანტია

3.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მიღებული საქონლის ხარვეზების გამოსწორებისთვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

#### 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშწორების ფორმა: უნაღდო
4.2 ანგარიშწორების ვალუტა: ქართული ლარი

#### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელო კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის შესახებ.

#### 6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობე შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულე

...ის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ვერ შეძლეს სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარება ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 8. შეტყობინება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

7.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

## 10. სხვა პირობები

10.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

10.4. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად. ორივე ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილეებთან და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველის მხრიდან

სსიპ დღვანის საჯარო სკოლის

დირექტორი მანანა ტარიელაძე

ხელმოწერა

მიმწოდებლის მხრიდან

მიმწოდებლის დასახელება: ი/მეწარმე

შალვა [illegible]ძე

[illegible]

ხელმოწერა